



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ს ა მ ტ ა ი ტ ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმაძინი

„28“ „04“ 2015 წელი

გზ N2

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ბუღალტრული

ანგარიშგების აუდიტის ანგარიში *მ/32/00*

შინაარსი

შინაარსი	2
დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
აუდიტორთა ხელმოწერა:.....	7
ფორმა -N1 ბალანსი	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	9
ფორმა N2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	10
ფორმა N2-2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	10
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	11
ფორმა N4 - ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების შესახებ.....	12
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება- გასვლის შესახებ	13
ფორმა N5-1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ	14
ფორმა N6- ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ	14

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ადმინისტრაციული შენობა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და სსიპ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო განთავსებულია ქალაქ თბილისში, სანაპიროს N2-ში (იუსტიციის სახლის შენობა). სამინისტროს დაკავებული აქვს 2,388 კვ.მ. ხოლო სააგენტოს 276 კვ.მ. ვინაიდან, შენობა არ არის მიღებული ექსპლოატაციაში, საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნიშნულ ქონებაზე სამინისტროსა და სააგენტოს სარგებლობის უფლება არ ფიქსირდება. ასევე, შენობის ღირებულება მათ ბალანსებზე ასახული არ არის.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

2014 წლის 29 აგვისტოს, სამინისტროს შპს „ქეიჯი ენერჯისაგან“ უსასყიდლოდ გადაეცა ბაზვი 1-2 ჰესისა და ბაზვი 5 ჰესის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია, ჯამური ღირებულებით 2,808,622 ლარი. აღნიშნული დოკუმენტაცია სამინისტროს ბალანსზე აისახა არამატერიალური ძირითადი აქტივის ანგარიშზე ნაცვლად მარაგის ანგარიშისა. შესაბამისად მასზე დარიცხულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება ისტორიული ღირებულების 1%-ის ოდენობით - 28,086 ლარი.

აღნიშნული აქტივის გამოყენება არ ხდება სამინისტროს მიერ და იგი ვერ აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარებისთვის ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს¹. შესაბამისად, მას ცვეთა არ უნდა დაერიცხოს. გამომდინარე აქედან, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების შესახებ ანგარიშში - ფორმა N2-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება არამართებულად არის გაზრდილი 28,086 ლარით.

ბუღალტრული აღრიცხვა

2014 წლის 1 მაისს სამინისტროს სს „საპარტნიორო ფონდისგან“ უსასყიდლოდ გადაეცა ონის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და აქტივები, ჯამური ღირებულებით 3,122,486 ლარი. აღნიშნული ოპერაცია სამინისტროს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული აქვს პირდაპირ წმინდა ღირებულების (5100) და ძირითადი აქტივების (2100) ზრდით. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ მიღება აისახება ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300) ან სხვა შემოსავლების (6400) ანგარიშების კრედიტში, ხოლო ერთი დონის სახელმწიფო ერთეულების შემთხვევაში – წმინდა ღირებულების (5100) ანგარიშის კრედიტში. გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტრო და სს „საპარტნიორო ფონდი“ არ წარმოადგენენ ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს, აღნიშნული ტრანზაქცია უნდა ასახულიყო ძირითადი აქტივების (2100) შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და გრანტების (6300) ან სხვა შემოსავლების (6400) ანგარიშების კრედიტში.

¹ 2007 წლის 28 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 21.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ბუღალტრულ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შრომის ანაზღაურება

- 2014 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის სამინისტროს საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამშრომელთა რიცხოვნობა არ ყოფილა სრულად დაკომპლექტებული და 23 ვაკანტური თანამდებობიდან წლის განმავლობაში არ მომხდარა კონკურსის გამოცხადება არც ერთ მათგანზე, გარდა ერთი პოზიციისა. აღნიშნული გარემოების შედეგად, სამინისტროს წარმოეშვა ეკონომია შრომის ანაზღაურების მუხლში 280,440 ლარის ოდენობით, რის ხარჯზეც სამინისტრომ გასცა პრემიები და სახელფასო დანამატები.
- 2014 წლის განმავლობაში, როგორც სამინისტროს ასევე სააგენტოს თანამშრომლები, ყოველთვიურად დამატებით შრომის ანაზღაურებას იღებდნენ პრემიის სახით 2014 წლის ივნისის ჩათვლით. მთავრობის დადგენილებით² შეიზღუდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში აღნიშნული პერიოდულობით პრემიების გაცემა. თუმცა, როგორც სამინისტროს ასევე სააგენტოს მიერ 2014 წლის ივლისის თვეშივე გამოიცა ბრძანებები სახელფასო დანამატების დამტკიცების შესახებ, რის შემდეგაც თანამშრომლებზე გაცემულმა დანამატების ოდენობამ დაახლოებით იგივე ციფრი შეადგინა, რაც მანამდე პრემიების სახით გაიცემოდა.

2014 წლის პირველ ორ კვარტალში პრემიის სახით სამინისტროს თანამშრომლებზე გაცემულია 412,975 ლარი, ხოლო ბოლო ორ კვარტალში დანამატის სახით - 451,890 ლარი. ანალოგიურად სსიპ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებზე პრემიის სახით პირველ ორ კვარტალში გაცემულია 124,045 ლარი ხოლო დანამატის სახით ბოლო ორ კვარტალში - 101,080 ლარი. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი სახელფასო დანამატების დანიშვნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

² 2014 წლის 15 ივლისის მთავრობის N449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სამინისტროსა და სააგენტოში გაცემული პრემიებისა და დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით:

სამინისტრო			სააგენტო		
	პრემია	დანამატი		პრემია	დანამატი
იანვარი	38,465	2,710	იანვარი	7,720	-
თებერვალი	66,200	2,710	თებერვალი	7,920	-
მარტი	82,590	2,710	მარტი	34,820	-
აპრილი	74,640	-	აპრილი	23,420	-
მაისი	74,740	5,420	მაისი	25,220	-
ივნისი	76,340	-	ივნისი	24,945	-
ივლისი	-	74,840	ივლისი	-	-
აგვისტო	-	80,720	აგვისტო	-	33,960
სექტემბერი	86,800	75,200	სექტემბერი	8,800	16,980
ოქტომბერი	-	75,200	ოქტომბერი	-	16,980
ნოემბერი	88,350	73,430	ნოემბერი	23,555	16,980
დეკემბერი	99,940	72,500	დეკემბერი	44,940	16,180

საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან შესაბამისობა

2014 წლის მარტსა და აპრილის თვეში სააგენტოს შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა 6 თანამშრომელს, რის შედეგადაც დარღვეულია საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი³, რომლის მიხედვითაც საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

სახელმწიფო შესყიდვები

2014 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ განხორციელებული 269 შესყიდვის ჯამურმა სახელშეკრულებო თანხამ 3,591,398 ლარი შეადგინა, ხოლო საკასო ხარჯმა 3,128,348 ლარი. საყურადღებოა, რომ სამინისტროს მიერ, 2014 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვებზე ავანსად გაიცა სულ 1,491,929 ლარი, საიდანაც 3,240 ლარი პირველ კვარტალში, ხოლო დარჩენილი 1,488,689 ლარის ავანსად გადახდა მოხდა სამშენებლო სამუშაოებისთვის მეოთხე კვარტალში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამინისტროსა და სააგენტოს მიერ 2014 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია:

	სამინისტრო			სააგენტო		
	ერთ.	ღირებულება	საკასო ხარჯი	ერთ.	ღირებულება	საკასო ხარჯი
ელექტრონული ტენდერი	10	1,614,500	1,341,048	-	-	-
გამარტ. ელექტრონული ტენდერი	22	363,445	343,497	1	6,443	6,443
კონსოლიდირებული ტენდერი	4	242,928	166,965	5	60,156	43,119
გამარტივებული შესყიდვა	233	1,370,525	1,276,838	120	96,005	83,778
სულ	269	3,591,398	3,128,348	126	162,604	139,340

³ 23-ე მუხლის 1 პუნქტი

სახელმწიფო საწარმოებზე გაცემული სესხების აღრიცხვა

2014 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ 168,660,109 ლარი შეადგინა. მთლიანი ასიგნებებიდან 56,176,515 ლარი გაიხარჯა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან, საშინაო სესხების სახით. სესხების გაცემა მოხდა, საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალებიდან, ფინანსთა სამინისტროს მიერ შპს ენგურჰესსა და სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე გადასესხების ფორმით. აღნიშნული სესხებიდან 17,088,610 ლარი შპს ენგურჰესზე ენერგეტიკის სამინისტროს სახაზინო ანგარიშის გავლით გაიცა, დანარჩენი 39,087,905 ლარი კი უშუალოდ შპს ენგურჰესისა და სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვით. აღნიშნული სესხები ენერგეტიკის სამინისტროს ბალანსზე აქტივის სახით არ ასახულა. აღნიშნული თანხებით მოხდა წმინდა ღირებულების შემცირება შესაბამის ანგარიშებთან კორესპონდენციით - ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა (1300) და აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები (8200).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სესხები არც ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე არ არის ასახული.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბესიკ ქოჩიაშვილი

(უფროსი აუდიტორი)



გიორგი ბუკია

(აუდიტორი)



ჯაბა არჩუაძე

(აუდიტორ ასისტენტი)

სარდიონ მოსეშვილი

(აუდიტორ ასისტენტი)

ფორმა -N1 ბალანსი

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

აქტივები	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ფინანსური აქტივები მოთხოვნები	63,040,489	87,521,184
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	117,843	252,546
სხვა საგადასახადო აქტივი	-	433
მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	74	564
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1,267,472	1,488,689
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	93	1,809
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	583,558	583,558
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები - აქციები და სხვა კაპიტალი	61,071,449	85,193,585
II. არაფინანსური აქტივები	1,671,678	6,505,388
სხვა მატერიალური მარაგები	22,094	46,559
შენობა-ნაგებობები	117,874	2,175,030
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	1,232,455	1,193,507
სხვა ძირითადი აქტივები	5,727	2,790,178
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	293,528	300,114
ბალანსი	64,712,166	94,026,572

ვალდებულებები და კაპიტალი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის ბოლოს
I. ვალდებულებები	1,034,175	1,028,145
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	440,000	440,000
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	1,630	680
სხვა გადასახდელები	3,778	2,496
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	5,209	1,411
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	583,558	583,558
II. კაპიტალი	63,677,991	92,998,427
წმინდა ღირებულება	63,530,518	92,708,924
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	147,473	289,503
დაუფარავი ზარალი		
ბალანსი	64,712,166	94,026,572

III. საცნობარო მუხლები		
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	1,351,308	1,351,308
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	99,035	99,498
ვადაგადაცილებული დავალიანებები	1,446,348	1,440,318
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	42,988	46,453

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებ ული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	30,225,000	34,545,368	89,125,977	88,822,535	88,822,535	89,119,142	296,606
შრომის ანაზღაურება	2,716,000	2,899,000	2,898,998	2,873,988	2,873,988	2,873,988	-
ხელფასები	-	-	2,898,998	2,873,988	2,873,988	2,873,988	-
ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	2,898,998	2,873,988	2,873,988	2,873,988	-
თანამდებობრივი სარგო	-	-	1,637,373	1,625,943	1,625,943	1,625,943	-
პრემია	-	-	783,315	782,605	782,605	782,605	-
დანამატი	-	-	478,310	465,440	465,440	465,440	-
საქონელი და მომსახურება	1,814,000	1,479,260	1,155,171	983,616	983,616	953,512	- 30,104*
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	54,228	54,228	54,228	54,228	-
მივლინებები	-	-	226,850	204,257	204,257	204,257	-
ოფისის ხარჯები	-	-	470,504	366,944	366,944	353,003	-13,941
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	49,422	49,422	49,422	38,416	-11,006
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	5,272	5,272	5,272	3,507	-1,765
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	299,878	255,761	255,761	252,369	-3,392
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	49,018	47,733	47,733	47,733	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	326,710	326,710
სუბსიდიები	6,000,000	10,476,919	7,638,768	7,638,768	7,638,768	7,638,768	-
გრანტები	10,000	10,000	10,000	3,589	3,589	3,589	-
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	-	-	10,000	3,589	3,589	3,589	-
მიმდინარე	-	-	10,000	3,589	3,589	3,589	-
სოციალური უზრუნველყოფა	33,000	33,000	30,000	23,120	23,128	23,128	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	30,000	23,128	23,128	23,128	-
ფულადი ფორმით	-	-	30,000	23,128	23,128	23,128	-
სხვა ხარჯები	19,652,000	19,647,189	77,393,040	77,299,447	77,299,447	77,299,447	-
სხვადასხვა ხარჯები	-	-	77,393,040	77,299,447	77,299,447	77,299,447	-
მიმდინარე	-	-	13,716,799	13,716,588	13,716,588	13,716,588	-
კაპიტალური	-	-	63,676,241	63,582,859	63,582,859	63,582,859	-

* საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეულ საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ წლის განმავლობაში შეძენილი იქნა სხვადასხვა საქონელი, რომელიც პერიოდის ბოლომდე არ გახარჯულა, მათ შორის - ა/მანქანის რეცხვის ტალონები, საოფისე მასალები, სუვენირები, სტუმრების მიღებისათვის საჭირო გამაგრებული სასმელები, ჰიგიენური საშუალებები, ასევე მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივები.

ფორმა N2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	6,575,000	3,531,551	2,746,155	2,661,409	2,661,409
ძირითადი აქტივები	6,575,000	3,531,551	2,746,155	2,661,409	2,661,409
შენობა-ნაგებობები	-	-	2,564,525	2,482,304	2,482,304
სხვა ნაგებობები	-	-	2,564,525	2,482,304	2,482,304
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	176,730	174,205	174,205
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	176,730	174,205	174,205
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	4,900	4,900	4,900
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	4,900	4,900	4,900

ფორმა N2-2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ფინანსური აქტივები	77,800,000	95,499,650	77,439,259	77,176,166	77,176,166
საშინაო	-	95,499,650	77,439,259	77,176,166	77,176,166
სესხები	-	74,500,000	56,439,609	56,176,516	56,176,516
აქციები და სხვა კაპიტალი	-	20,999,650	20,999,650	20,999,650	20,999,650

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 01.01.2014	63,530,518
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	2,873,988
საქონელი და მომსახურება	953,512
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	326,710
სუბსიდიები	7,638,768
გრანტები	3,589
სოციალური უზრუნველყოფა	23,128
სხვა ხარჯები	77,299,447
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	17,088,611
სხვა ეკონომიკური ნაკადები	39,087,905
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	143,616
სულ სადებეტო ბრუნვა	145,439,273
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	168,660,109
შემოსავლები	2,827,303
მ.შ. სანქციები და ჯარიმები	18,682
მ.შ. ნებაყოფლობითი სასაქონლო ტრანსფერები	2,808,622
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	3,126,766
სხვა ეკონომიკური ნაკადები	3,500
სულ საკრედიტო ბრუნვა	174,617,679
წმინდა ღირებულების ცვლილება 2014	29,178,406
წმინდა ღირებულება 31.12.2014	92,708,924

ფორმა N4 - ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

შემოსავლები	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისათვის		117,843	
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისათვის			147,473
საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები	430,000	523,655	523,655
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	430,000	523,655	523,655
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	380,000	378,882	381,625
1.1. შრომის ანაზღაურება	208,680	207,880	207,880
1.2. საქონელი და მომსახურება	166,320	171,002	168,853
1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება			4,892
1.4. სხვა ხარჯები	5,000	-	-
2. არაფინანსური აქტივების ზრდა	50,000	4,040	
2.1 ძირითადი აქტივები	50,000	4,040	
4. ვალდებულებების კლება	10,700	6,030	
4.1 საშინაო	10,700	6,030	
ნაშთი წლის ბოლოს		252,546	289,503

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება- გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება					გასვლა			ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
		შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	იმპე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსაყიდლოდ	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	კაპიტალის შესაქმნელად აქტივების გასვლა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მიმსახურებით	
ძირითადი აქტივები	1,356,056	1,123,856	1,195,441	3,125,329	2,808,622	3,500	3,122,486	331,602	-	6,158,716
არასაცხოვრებელი შენობები	2,355	-	-	-	-	-	-	-	-	2,355
ელექტრო გადამცემი ხაზები	115,519	1,123,856	1,009,771	-	-	-	-	76,471	-	2,172,675
სატრანსპორტო საშუალებები	857,399	-	-	-	-	3,500	-	130,891	-	730,008
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	375,055	-	180,770	2,843	-	-	-	95,169	-	463,499
არამატერიალური ძირითადი აქტივები	5,727	-	4,900	3,122,486	2,808,622	-	3,122,486	29,071	-	2,790,178
მატერიალური მარაგები	22,094	-	295,399	-	-	-	-	-	270,934	46,559
ფულადი დოკუმენტები	354	-	163,111	-	-	-	-	-	159,719	3,746
სათადარიგო ნაწილები	6,470	-	33,656	-	-	-	-	-	31,584	8,542
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	15,270	-	98,632	-	-	-	-	-	79,632	34,271
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	293,528	-	12,847	1,438	-	-	-	-	7,698	300,115

ფორმა N5-1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან	ზარალი ფლობიდან	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი
ფინანსური აქტივები				39,087,905
სესხები				39,087,905

ფორმა N6- ანგარიში არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

მაჩვენებელთა დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება სხვა სახით მიღება		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება	17	857,400	1	3,500	255,560	75,691	154,485	25,385	252,169	72,299	154,485	25,385
სულ:												
მ.შ. მსუბუქი	3	111,310	1	3,500	37,785	15,372	19,863	2,550	36,690	14,276	19,863	2,550
ჯიპები და პიკაპები	14	746,090	-	-	217,775	60,319	134,621	22,835	215,479	58,023	134,621	22,835